# საკანონმდებლო სიახლეების

# ცნობარი

# (2021 წლის თებერვალი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის თებერვლის თვეში.

## საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2021 წლის 18 თებერვალს რიგი საკნონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“. აღნიშნული ცვილებებისა და დამატებების შედეგად, კოდექსის რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

მუხლი. 421) $42^{11}$ მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს ღია ან დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევა –გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 20 ლარით.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 21 ნაწილი:

„21. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით.“;



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

გ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. ამ მუხლის პირველი, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარით.“;

დ) შენიშვნა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებულ პირბადის ტარების წესს (მათ შორის, ღია საჯარო სივრცეში ან/და დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარების წესს) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგენს საქართველოს მთავრობა ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამინისტრო.“.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020232

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 19 თებერვალს.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №16

2021 წლის 1 თებერვალს, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და აღნიშნულის საფუძველზე, ბრძანების რიგი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. $11^1$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $11^2$ მუხლი:

„მუხლი $11^2$. დაქირავებულ პირთა რეესტრი

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დამქირავებელი, ვალდებულია დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური.



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2. დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურს წარედგინება ელექტრონულად, შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით.

3. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ აისახება დაქირავებულ პირთა შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) დაქირავებული პირის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი; ბ) სამუშაო განაკვეთი; გ) სტატუსი – აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი; დ) სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თარიღი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის:

ა) აქტიური სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

ბ) შეჩერებული სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც დროებით ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც არ იწვევს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას და ამავდროულად შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი აღემატება 90 კალენდარულ დღეს;

გ) შეწყვეტილი სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელთანაც შეწყდა შრომითი ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილებისას დამქირავებელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები 5 სამუშაო დღის ვადაში ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაქირავებულს ენიჭება სტატუსი – აქტიური, რა დროსაც შესაბამისი ცვლილების რეესტრში ასახვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შრომითი ურთიერთობის განახლების თარიღისა.“

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017431

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 თებერვალს.



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №13/04

2021 წლის 2 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №13/04-ის საფუძველზე დამტკიცდა საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მიზანია უზრუნველყოს კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიებისა და აქტივების მმართველი კომპანიების, აგრეთვე მათ საქმიანობაში ჩართული პირების ეთიკური ქცევა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბანკო სექტორისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეპუტაციის ამაღლებას და გაზრდის მომხმარებელთა ნდობას. აღნიშნული კი დადებითად აისახება მთლიანად ფინანსური სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ბაზრის მონაწილეების მდგრადობასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. გარდა აღნიშნულისა, წინამდებარე ეთიკის კოდექსის მიზანია ფინანსურ ბაზრებზე ეთიკისა და პროფესიონალიზმის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს საბანკო, საბროკერო და აქტივების მმართველის საქმიანობის მიმართ საზოგადოების, მათ შორის, ინვესტორთა ნდობის ამაღლებასა და საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ კოდექსით განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საბროკერო კომპანიებსა და აქტივების მმართველ კომპანიებზე (მათ შორის საინვესტიციო კომპანიებზე, რომელთაც არ ჰყავთ დანიშნული გარე აქტივების მმართველი), მათ აქციონერებზე/მმართველი ორგანოს წევრებზე, ადმინისტრატორებსა და დასაქმებულ პირებზე, რომლებიც შესაბამისად ეწევიან საბანკო, საბროკერო ან/და აქტივების მმართველის საქმიანობას.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე:https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016546

ზემოაღნიშნული ბრძანება ამოქმედდება 2021 წლის 2 აგვისტოდან.



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №35

2021 წლის 17 თებერვალს, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში განხორციელდა რიგი საკნონმდებლო ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მიკრობიზნესის სტატუსის მიღებას ან/და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას იმ რეჟიმით ან/და წესით, რომლითაც იბეგრებოდა სტატუსის მინიჭებამდე საქმიანობის განხორციელებისას, ხოლო მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებიდან მიღებული შემოსავლები ექვემდებარება დაბეგვრას მიკრობიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 200230040.22.033.017440

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 18 თებერვალს.

## „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №36

2021 წლის 17 თებერვალს საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები განხორციელდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში.



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ინსტრუქციის რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან) ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე საგადასახადო აღრიცხვის მიზნით მიმართოს შემოსავლების სამსახურს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

2. მე-3 მუხლის 12 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 13 პუნქტი:

„13. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საგადასახადო აღრიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის ნაცვლად, შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთვის ვიდეოზარით მიმართვის საფუძველზე. საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე ფიზიკური პირის ვიდეოზარით მიმართვა ასევე წარმოადგენს ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის მოთხოვნას. ცალკეულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეოზარით მიმართვის ნაცვლად, პირს მოსთხოვოს №I-01 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017441

აღნიშნული ბრძანება საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა 2021 წლის 18 თებერვალს და იგი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №38

2021 წლის 25 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა მინიტრის ბრძანება №38-ის საფუძველზე რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ბრძანებით დამტკიცებულ წესის 35-ე მუხლში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. თუ უფლებამოსილი პირის მიერ შეუძლებელია დანართ №24-ში მითითებული სმფ-ის ფაქტობრივად არსებულთან შედარება, მას უფლება აქვს (გარდა ამ მუხლის 31 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) მოსთხოვოს გადასახადის გადამხდელს საკუთარი ხარჯებით შესაბამისი სპეციალისტის მოწვევა.“

2. მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის $3^1$ პუნქტი:

„$3^1$. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის ან/და ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს რაოდენობრივი/თანხობრივი ზღვარი, რომლის ფარგლებში, დანართ №24-ში მითითებული სმფ-ები ფაქტობრივად არსებულის შესაბამისად ჩაითვლება.“

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე:https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017443

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 26 თებერვალს.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №39

2021 წლის 25 თებერვალს, „საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანებაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და ბრძანების მე-5 მუხლი, კერძოდ, გარდამავალი დებულებები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ კორონავირუსული ინფექციის ეპიდაფეთქებები გამოცხადდა პანდემიად, რაც „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, განეკუთვნება საგანგებო სიტუაციას და აღნიშნული გარემოება კი, საქართველოს საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მიიჩნევა დაუძლეველ ძალად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 მაისამდე პერიოდში შემოყვანილი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3- ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), აგრეთვე 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის მფლობელი თავისუფლდება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე და 171-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, აგრეთვე აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით განსაზღვრული საურავისაგან, თუ იგი 2021 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოფს ამ სატრანსპორტო საშუალების საბაჟო პროცედურაში მოქცევას ან რეექსპორტში მის დეკლარირებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვეულია რეექსპორტში ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული ან ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მიტანის ვადა).“



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017444

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტს.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №40

2021 წლის 25 თებერვალს, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „ავტორიზაციის წესის, ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №239 ბრძანებაში. აღნიშნული ცვილებების საფუძველზე ბრძანების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა განსხვავებული რედაქციით, მათ შორის უნდა აღინიშნოს ცვლილებები, რომელის თანახმადაც, თუ პირველადი კვლევის შედეგად გამოიკვეთება ხარვეზები, მაგრამ არ არსებობს ბრძანებით გათვალისწინებული გარემოებები, შერჩეული პირი უფლებამოსილია, განუსაზღვროს განმცხადებელს ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრული ვადა. თუ განმცხადებელი ამ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, ავტორიზაციის პროცესი შეწყვეტილად ჩაითვლება. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი გამოასწორებს ხარვეზს, შერჩეული პირი დაადასტურებს ხარვეზის გამოსწორებას და არ გამოვლინდება ახალი ხარვეზი, შერჩეული პირი იწყებს განმცხადებლის სისტემასთან ინტეგრაციის პროცედურებს. ასევე, წინამდებარე შემთხვევაში შერჩეულ პირს შეუძლია დაიწყოს განმცხადებლის სისტემასთან ინტეგრაციის პროცედურები, თუ გამოვლენილი ხარვეზი არ არის არსებითი და მათი დროებით არსებობა არ შეუშლის ხელს განმცხადებლის სისტემასთან ინტეგრაციას. ასეთ შემთხვევაში, ინტეგრაციის დასრულების შემდეგ ავტორიზაციის სერტიფიკატი გაიცემა დროებით.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ბრძანების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა 11 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ნებართვის მფლობელი აგრეთვე ვალდებულია, მიმართოს შერჩეულ პირს რეავტორიზაციის გავლის მოთხოვნით, თუ ცვლილება შევა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის, აგრეთვე ზოგიერთი არსებითი პროდუქციის/მომსახურების საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემოღებულ/დადგენილ სტანდარტებში/მოთხოვნებში. ნებართვის მფლობელმა შერჩეულ



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პირს უნდა მიმართოს ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი.“

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017445

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 26 თებერვალს.

## საქართველოს მთავრობის დადგენილება №67

2021 წლის 17 თებერვალს, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის №619 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, დადგენილებით დამტკიცებულ დანართში განისაზღვრა, რომ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ პირს, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი არ მიენიჭება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ვირტუალური ზონის პირს.

წინამდებარე დადგენილებით ასევე განისაზღვრა, რომ საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მისანიჭებლად, ამ დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის პირველი მუხლის „ა“–„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილების დადგენის მიზნებისთვის, გამოცდილებაში ჩაითვლება ასევე ამავე მუხლის ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა იმ პირებისთვის, რომელთა საქმიანობის ან მართვის ადგილი საქართველოშია. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, დანართის პირველი მუხლის „ა“ – „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს მხოლოდ იმ პირებს, რომელთა რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი არის საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამასთან, ამავე მუხლის ამავე ქვეპუნქტებით



Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

გათვალისწინებულ საქმიანობაში იგულისხმება მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება.

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.10.003.022619

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 18 თებერვალს.



Legal Consulting Center LLC
*add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia*
*Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia*
*ID: 445392227*
*www.legalconsulting.ge*
*info@legalconsulting.ge*